

შს ტელეკომპანია „გერისის“ ზონაში მოქმედი ადგილობრივი
საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალი რესურსთან დაშვების
შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ.სენაკი

2017 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლობის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი“).

სენაკის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის“ თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

- 1.1 მომსახურენა იწარმოება DVB-T (EN 300 744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებითინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ/წმ, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;
 - 1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდების და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევს მისამართია: სენაკი, ახალგაზრდობის ხეივანი N9
 - 1.3 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე
 - 1.4 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (SD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;
2. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები:
2.1 სენაკის ზონაში ღია ეთერით 1მგბტ/წმ-ით გავრცელებისთვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 1 მგბტ/წმ 400 (ოთხასი) ლარს დღგ-ს გარეშე (2.15 მგბტ/წმ - 800 დღგ-ს გარეშე).
3. „ოფერენტის“ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები
- 3.1 „აქცეპტანტი“ ვალდებულია წარადგინოს:
 - ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი
 - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
 - გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი
 - დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა
4. ოფერტის მოქმედების ვადა
- 4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2017 წლის 01 მარტიდან და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე - 2018 წლის 01 მარტამდე

მერაბ ჩიქოზავა

შპს ტელეკომპანია „ეგრისის“ დირექტორი

